დაწყებითი სკოლის კურსი

(1893 წელი, გაზეთი „Новое Обозрение“)

როგორი ღირსებებით, როგორი პედაგოგიური სიმახვილითა და მიზანდასახულობითაც არ უნდა გამოირჩეოდნენ დაწყებითი სკოლების კავკასიის სახელმძღვანელოები, როგორი კარგიც არ უნდა იყოს პედაგოგიური პერსონალი, როგორი ენერგიითა და დაუცხრომლობითაც არ უნდა იყვნენ აღჭურვილნი სახალხო განათლების ხელმძღვანელები და კონტროლიორები, კავკასიის სკოლას არ შეუძლია მოგვცეს სასურველი შედეგები, თუ მისი კურსი მოკლებული იქნება საკმაო ხანგრძლივობას.

კურსის როგორი ხანგრძლივობა უნდა იქნეს ცნობილი აუცილებელ მინიმუმად, რომლის შემცირება უსათუოდ გამოიწვევს სახალხო სკოლის უნაყოფობას?

სახალხო სკოლებში სრული დაწყებითი განათლების მისაღებად მთელ ევროპასა და ამერიკაში სწავლების კურსის ხანგრძლივობა სავალდებულოდ ითვლება ექვსი წლიდან ცხრა წლამდე. რუსეთში სახალხო სკოლა უფრო მცირე ამოცანას ისახავს: მისი მიზანია შეასწავლოს მოსწავლეებს მტკიცე და გონივრული წერა-კითხვა და მისცეს ელემენტარული ცოდნა. ამ მიზნის მისაღწევად ჯერ კიდევ 25 წლის წინათ იმპერიის ყველა დაწყებითს სკოლაში დაწესდა სწავლების სამწლიანი კურსი. რას გვეუბნება ჩვენ ეს ხანგრძლივი გამოცდილება? საკმარისია თუ არა სამი წელიწადი იმისთვის, რომ გახდნენ რუსული სახალხო სკოლის მოსწავლეები წერა-კითხვის მცოდნენი, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით? არა, უპასუხებს ამ კითხვაზე რუსეთის ერთ-ერთი ყველაზე კომპეტენტური და მაღალთანამდებობის პედაგოგი. პეტერბურგის სასწავლო ოლქის მზრუნველმა გასული წლის თავის ანგარიშში გააკეთა შემდეგი მრავალმნიშვნელოვანი განცხადება: „სასოფლო სკოლების პირველდაწყებითი სწავლასა და აღზრდაში მეტად ავტორიტეტულ პირთა აზრით, მტკიცე და გონივრული წერა-კითხვის შესწავლა, რომელსაც მხოლოდ უეჭველად და ყოველშემთხვევაში შეუძლია მოუტანოს არსებითი სარგებლობა გლეხურ მოსახლეობას, ჩვეულებრივ პირობებში შესაძლებელია მხოლოდ ოთხი წლის განმავლობაში. ასეთს, აზრს როგორც გვიჩვენებს 25 წლისაზე მეტი გამოცდილება, არ შეიძლება არ დავეთანხმოთ“....

არანაკლებ სხვა კომპეტენტური პირები და დაწესებულებანი რუსეთში არამც თუ იზიარებენ აზრს სასოფლო სკოლის კურსის გაგრძელების საჭიროების შესახებ, არამედ სინამდვილეში ანხორციელებენ ამას, ვინაიდან უკანასკნელ წლებში რუსეთის ზოგიერთ ადგილას უკვე შემოღებულია სწავლების ოთხწლიანი კურსი ნაცვლად სამწლიანისა.

ამგვარად, კავკასიის დაწყებითი სკოლისათვის სამწლიანი კურსი არასაკმარისად უნდა ყოფილიყო ცნობილი იმ შემთხვევაშიც კი, რომ მისი ამოცანა, რუსული სკოლის მსგავსად, განისაზღვრებოდეს მშობლიურ ენაზე წერა-კითხვის შესწავლით და დაწყებითი ცოდნის გადაცემით. მაგრამ ცნობილია, რომ ეს ამოცანა შეუდარებლად რთულია, მის კურსში შედის რუსული ენისა და წერა-კითხვის სავალდებულო სწავლება. მასთან, საგნების სწავლება

მშობლიურ, მოსწავლეთათვის სავსებით გასაგებ ენაზე, კავკასიის სკოლებში ხდება მხოლოდ კურსის პირველ ნახევარში, ხოლო მეორე ნახევარში ის მიმდინარეობს რუსულ ენაზე, რომელიც ძალიან ნაკლებად გასაგებია მოსწავლეებისათვის, იმიტომ, რომ ამ დროისათვის ისინი ასწრებენ დაეუფლონ რუსული სიტყვებისა და გამოთქმების მხოლოდ მცირე რაოდენობას. საერთოდ კავკასიის სკოლის ამოცანა გაცილებით უფრო რთული და ძნელია, ვინემ რუსულისა. მიუხედავად ამისა, ჩვენშიც დაწესებულია სამწლიანი კურსი, რომელიც არასაკმარისი გამოდგა შედარებით უფრო ადვილი მიზნების მისაღწევად.

გარდაუვალი უნუგეშო შედეგები უკვე სახეზეა, საქართველოს სოფლებსა და კავკასიის სხვა ადგილებში, დაწყებითი სახალხო სკოლები, დაარსებულნი გლეხთა განთავისუფლების შემდეგ, 20 წელზე მეტია მოქმედებენ. ბევრი სოფლის ახალგაზრდა გლეხთა თაობამ გაიარა ეს სკოლები. მერე და რა გამოვიდა? მიუხედავად სავსებით დამაკმაყოფილებელ მასწავლებელთა შემადგენლობისა, რომელთა უმეტესობას მიღებული აქვს სპეციალური პედაგოგიური განათლება, სასოფლო სკოლების საუკეთესო მოსწავლეებსაც გამოქონდათ და გამოაქვთ ისეთი სუსტი ცოდნა, რომ სკოლის კედლების დატოვების შემდეგ სულ რამდენიმე თვის განმავლობაში უქრებათ თავიდან. ეს ფაქტი ერთადერთი მიზეზია სკოლისადმი სოფლის მოსახლეობის უსულგულო დამოკიდებულებისა, რის შედეგად სკოლების რიცხვი ძალიან სუსტად იზრდება, მიუხედავად სასწავლო-მთავრობის ღონისძიებებისა, რომლებსაც გულმოდგინედ უჭერენ მხარს ადგილობრივი პრესა და ინტელიგენცია.

ზოგიერთებს დაწყებითი სკოლის ასეთი მცირე წარმატების მიზეზად მიაჩნიათ მისი სასწავლო გეგმა, მაგრამ ეს შეცდომაა. წარმატებისათვის, მაგალითად, რუსულ ენაში, ამ გეგმაზე უფრო უკეთესი შეუძლებელია წარმოვიდგინოთ: თუ ეს გეგმა რაიმეს საჭიროებდა და საჭიროებს, ეს არის ჯერ ერთი, რომ ის უნდა სრულდებოდეს ზუსტად, და მეორე-გადიდდეს სკოლის კურსი. რასაკვირველია, იმაზე ადვილი არაფერია, ვინემ ამ გეგმის დამახინჯება, რის შედეგად მივიღებთ უფრო სავალალო შედეგებს მშობლიურ წერა-კითხვის შესწავლის საქმეში, მაგრამ ამის გამო სახელმწიფო ენაში წარმატება არამც თუ მოიგებს, არამედ წააგებს, ვინაიდან მოსწავლეთა ამთვისებლობა სუსტდება, ხოლო სკოლის პასივი იზრდება.

რომ, სახელდობრ, დაწყებითი სკოლის სიმოკლე არის მთავარი მიზეზი მისი უნაყოფობისა, ამას ნათლად ამტკიცებს ორკლასიანი სასოფლო სკოლები ხუთწლიანი კურსით, რომლებიც მართალია მცირეს, მაგრამ მაინც მტკიცე და ხელშესახებ შედეგებს აღწევენ. სამწუხაროდ, ასეთი სკოლები ძალიან ცოტაა, მაგალითად, თბილისისა და ქუთაისის ორივე გუბერნიაში ასეთი სკოლა მხოლოდ შვიდია. საჭიროა სწორედ ასეთი სკოლების გამრავლებას მიექცეს სერიოზული ყურადღება. სისტემატიურ ღონისძიებათა შედეგად შეიძლება ათჯერ გავადიდოთ მათი რიცხვი და მივაღწიოთ იმას, რომ ყველა დიდ სოფელში მოეწყოს სწორედ ასეთი სკოლები...

მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ჩვენი სოფლები ისეთი პატარები და ღარიბებია, რომ მათ არ შეუძლიათ ორკლასიანი სკოლების შენახვა. ასეთ სოფლებში ძალაუნებურად გვიხდება დავკმაყოფილდეთ ერთკლასიანი სკოლების დაარსებით. როგორ გავხადოთ ისინი ნაყოფიერი, უფრო მეტად სრული? სასკოლო კურსის კიდევ ერთი წლით გადიდებით და ოთხწლიანი კურსის შემოღებით ნაცვლად ახლა არსებულ სამწლიანისა, მაგრამ აქ დგება პედაგოგიური ხასიათის ძალიან მნიშვნელოვანი სიძნელე. სკოლას შეუძლია ნაყოფიერად იმუშაოს მხოლოდ მაშინ, როცა ერთ მასწავლებელს საქმე ექნება არა უმეტეს ვიდრე ორ ჯგუფთან. სამი, განსაკუთრებით ოთხი განყოფილება ისეთ დაბრკოლებას წარმოადგენს წარმატების საქმეში, რომელიც უსარგებლოდ გახდის კურსის ყოველგვარ გადიდებას.... ცხადია, ეს საშუალება ყველგან, სადაც სიღარიბე არ იძლევა შესაძლებლობას ორი მასწავლებლის შესანახად ცნობილ უნდა იქნას მიზანშეწონილად და სასარგებლოდ.

მაგრამ არის კიდევ სწავლების ორგანიზების მეორე საშუალება, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ მასწავლებელი ატარებს მეცადინეობას სადილობამდე ორ პირველ განყოფილებასთან, ხოლო ნასადილევს ორ დანარჩენთან. მასთან დილაობით აქვს სამი გაკვეთილი და ნაშუადღევსაც ამდენივე... ამჟამად მასწავლებელი თითოეულ განყოფილებასთან მეცადინეობს დაახლოებით საათნახევარს, დანარჩენ სასწავლო დროს -სამ საათამდე მოსწავლეები ატარებენ, ეგრედწოდებულ დამოუკიდებელ მეცადინეობას, რასაც ძალიან ცოტა მნიშვნელობა აქვს, მასწავლებლის მხრივ კონტროლის იმ სიძნელის გამო, რომელიც იქმნება სკოლის სამწლიანი კურსით. ჩვენი ხერხის მიხედვით, მასწავლებელი მეცადინეობას ატარებს თითოეულ განყოფილებასთან აგრეთვე საათნახევარს, მაგრამ ამასთან ერთად მოსწავლეთა დამოუკიდებელი ვარჯიშობანი ტარდება უფრო სწორად და წარმატებით, ვინაიდან ორის მაგიერ ერთ განყოფილებაზე საქმიანი კონტროლის განხორციელება ორჯერ უფრო ადვილია.

მაგრამ სამაგიეროდ ეს ხერხი სხვა მხრივ უაღრესად დიდ მოხერხებულობას შეიცავს და უფრო მოსამარჯვებელია. ამ ხერხის გამოყენებისას სკოლა ზრდის მოსწავლეთა ორმაგ კომპლექტს, ვინაიდან ასეთ სკოლაში ორმოცამდე მოსწავლეს შეუძლია იმეცადინოს დილაობით და ამდენსავე სადილის შემდეგ, ამასთან, გლეხი ბავშვები მუშაობისათვის ჰკარგავენ მხოლოდ ნახევარ დღეს, ხოლო დღის მეორე ნახევარს ისინი ანდომებენ საოჯახო-სასოფლო საქმეებს, რის გამოც ხდება გონებრივი შრომის სასიკეთო შენაცვლება ფიზიკურთან. გარდა ამისა, სამი საათის განმავლობაში ბავშვები სკოლაში მუდმივად და ენერგიულად აწარმოებენ სწორ შრომას და სავსებით აქვთ თავი დახსნილი უწესრიგობასა და ხშირი უსაქმობის გამხრწნელ გავლენისაგან, რომლებიც მუდმივი თანამგზავრი არიან სამგანყოფილებიანი სახალხო სკოლებისა.

მართალია, სკოლის ორმაგი ხასიათის დროს მასწავლებელს ახლანდელი ხუთი საათის ნაცვლად მოუხდება ექვს საათს მეცადინეობა, მაგრამ ეს არ გახდება გადატვირთვის წყაროდ. ვინაიდან უფრო ადვილია და სასიამოვნო იმეცადონო ექვს საათს ორ განყოფილებასთან, ვინემ ყველა ფეხის ნაბიჯზე განიცადო უსიამოვნება, ნერვიული გაღიზიანება, საქმის

მსვლელობით გამოწვეული უკმაყოფილება ხუთი საათის განმავლობაში, როცა მასწავლებელს ერთდროულად საქმე აქვს სამ განყოფილებასთან...

მაგრამ კურსის გაგრძელებას მხოლოდ მაშინ შეუძლია სათანადო ნაყოფის მოტანა, როცა მას ხელს შეუწყობს სხვა ღონისძიებებიც. ჩვენ ვლაპარაკობთ თვით სასწავლო წლის ხანგრძლივობის გადიდების შესახებ. საქმე იმაშია, რომ კავკასიის სასოფლო სკოლის სასწავლო წელი გაცილებით მოკლეა რუსეთის სკოლების სასწავლო წელზე. იქ ზამთრის ხანგრძლივობა უზრუნველყოფს სასკოლო მეცადინეობას ექვს თვეს, აქ კი ხანგრძლივი ზაფხული ამოკლებს სასწავლო დროს უკანასკნელ მინიმუმამდე. ნამდვილი სწავლა ჩვენ სასოფლო სკოლებში იწყება ნოემბრიდან, როცა წყდება მინდვრის სამუშაოები და მთავრდება მარტის დასაწყისში, როცა დგება სამუშაო დრო. ამგვარად, კავკასიის სოფლის სკოლის მოწაფე სწავლობს წელიწადში მხოლოდ ოთხ თვეს, ხოლო რვა თვის განმავლობაში საფუძვლიანად ავიწყდებათ მოსწავლეებს შეძენილი ცოდნა. თუ მომავალშიაც ასეთი წესი დარჩა, აღნიშნული ღონისძიება-სასკოლო კურსის გადიდება - ვერაფერს გვიშველის. აუცილებელი საჭიროება მოითხოვს სასოფლო სკოლებში რეგულარული მეცადინეობა იწყებოდეს არაუგვიანეს 1 ოქტომბრისა და მთავრდებოდეს არა უადრეს აპრილისა. მაგრამ ამ შემთხვევაშიაც სასოფლო სკოლების სასწავლო წელი რამდენიმე თვით მოკლე იქნება, ვინემ ქალაქის სკოლებში. როგორ გავათანაბროთ პირველი სკოლები მეორეებთან? პირველ ყოვლისა, სასოფლო სკოლებში მოგვიხდება ორჯერ შევამციროთ საშობაო არდადეგები და აუცილებლად განვააახლოთ მეცადინეობა ორი იანვრიდან. თუ ქალაქის ბავშვს ოთხი თვის საშემოდგომო სწავლის შემდეგ, სჭირდება ორი კვირით დასვენება, სოფლელ ბავშვებისათვის, რომლებიც საშემოდგომო სეზონში დაკავებული არიან ორჯერ ნაკლები დროის განმავლობაში, სავსებით საკმარისია ერთი კვირა. გარდა ამისა არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს ყველიერში სწავლის შეწყვეტა. შეიძლება აგრეთვე სააღდგომო არდადეგების შემოკლება და მეცადინეობის დაწყება წმინდაკვირიაკის მეოთხე დღიდან. და ბოლოს, საჭიროა, მინიმუმადე დაყვანა სადღესასწაულო არასასწავლო დღეებისა....

ძალიან დიდია აგრეთვე მეცადინეობის ექვსთვიანი შეწყვეტა და სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ სოფლის სკოლის მოსწავლეებმა მთლიანად დაივიწყონ შეძენილი ცოდნა. როგორ მოვიქცეთ ამ შემთხვევაში? არსებობს ძალიან უბრალო საშუალება. ეს არის ზაფხულის პერიოდში კვირაობით სწორი, რეგულარული მეცადინეობის ჩატარება განვლილ მასალის გასამეორებლად. სოფლის მოსახლეობისათვის ეს არ წარმოადგენს სიძნელეს და აგრეთვე მძიმე ტვირთი არ იქნება სოფლის მასწავლებლისათვის. ისინი ორჯერ მეტი ხანგრძლივი არდადეგებით სარგებლობენ, ვინემ ქალაქის მასწავლებლები და ამისათვის ადვილად შეუძლიათ მისცენ გაკვეთილები კვირაობით ყოველგვარი სიძნელეთა გარეშე.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სკოლებში სახელმძღვანელოებისა და სასწავლო ხელსაწყოების დროულად დაგზავნას. ამჟამად მასწავლებლების მიერ ამ საგნებზე მოთხოვნილებები იგზავნება დირექციაში მხოლოდ სექტემბრისათვის. ვინაიდან კომისიონერს უფლება აქვს გაუგზავნოს ფოსტით წიგნები დღეში მხოლოდ ერთ სკოლას, ეს

დაგზავნა გრძელდება ნოემბრამდე და ხშირად მეტხანსაც. ეს გარემოება სრულიად შეუძლებლად ხდის სასკოლო მეცადინეობის თავის დროზე დაწყებას. ამ დაბრკოლების გადალახვა კი ყველაზე უფრო ადვილია: ამისათვის საკმარისია დაევალოს მასწავლებლებს გაგზავნონ სასწავლო ნივთების შესახებ მოთხოვნილება დირექციაში ივლისისათვის, ხოლო კომისიონერს დაევალოს მათი დაგზავნა ზაფხულის თვეების განმავლობაში. მართალია ივლისში ძნელია იმის ზუსტად გამორკვევა, თუ რამდენი მოსწავლე შემოვა უმცროს განყოფილებაში, მაგრამ ეს სექტემბერშაიც ხომ გამოურკვეველია, ვინაიდან ბავშვების სკოლაში მიღება იწყება ოქტომბრიდან. აქ შეიძლება ვიხელმძღვანელოდ დაახლოებით გაანგარიშებით. ამა თუ იმ მხრივ დაშვებული შეცდომა ადვილი გამოსასწორებელია: თუ უმცროს განყოფილებაში შემოვიდა ნაკლები მოსწავლე, ვინემ ამ განყოფილებისათვის გამოწერილი სახელმძღვანელოები, ზედმეტი ეგზემპლიარები შეინახება მომავალი წლისათვის და შეავსებს დანაკლისს.

ყველაზე უფრო მნიშვნელოვან, აუცილებელ პირობას სოფლის სკოლის სწორი საქმიანობისათვის წარმოადგენს მისდამი მოსახლეობის დამოკიდებულება. თუ ის არ უფრთხილდება სკოლას, და არ თვლის სკოლას მისთვის სასარგებლო დაწესებულებად, ეპყრობა მას გულცივად და მტრულადაც კი, მაშინ ყველა ღონისძიება უქმად ჩაივლის. სკოლისადმი მოსახლეობის სიყვარულის გარეშე სკოლა ჭკნება ისე, როგორც ყვავილები სიცივისაგან და მზის სინათლის უქონლობის გამო, და ამ სიყვარულს სკოლა მოიპოვებს მხოლოდ მაშინ, როცა ის დგას წმინდა პედაგოგიურ ნიადაგზე, ისახავს გამანათლებელ მიზნებს, ემსახურება როგორც ადგილობრივ, ისე სახელმწიფო ინტერესებს და აკმაყოფილებს იმ მოსახლეობის კანონერ და სამართლიან სურვილებს, რომელიც ინახავს მას თავის ოფლით მონაგარი ფულებით....

ტექსტის ციფრული ვერსია მოამზადა:

ქ. საჩხერის #3 საჯარო სკოლის პედაგოგმა, **ნინო გაფრინდაშვილმა.**

5 აპრილი, 2020 წელი

#დარჩისახლში